16.05.2025 წ.

ქ. თბილისში, ერწოს ქუჩა #15 -ში მშენებარე საცხოვრებელი სახლის მოსაზღვრე ტერიტორიებზე არსებული შენობა-ნაგებობების ურთიერთგავლენასთან დაკავშირებით.

მშენებარე საცხოვრებელი სახლი მდებარეობს ქ. თბილისში, ერწოს ქუჩა #15 -ში, საცხოვრებელი სახლი 20 სართულიანია.

მშენებარე შენობას ჩრდილოეთის მხრიდან დაახლოებით დაახლოებით 30 მეტრის მანძილზე ესაზღვრება 1;2 და 3 სართულიანი შენობები, რომელიც მდებარეობს მიწის ნაკვეთებზე საკადასტრო კოდებით 01.12.08.010.006; 01.12.08.010.008; 01.12.08.010.038; 01.12.08.010.039, სამხრეთის მხრიდან დაახლოებით დაახლოებით 15 მეტრის მანძილზე ესაზღვრება 1 და 2 სართულიანი შენობები, რომელიც მდებარეობს მიწის ნაკვეთებზე საკადასტრო კოდებით 01.12.08.010.004; 01.12.08.010.016; 01.12.08.010.017; 01.12.08.010.018, აღმოსავლეთის მხრიდან დაახლოებით დაახლოებით 8 მეტრის მანძილზე ესაზღვრება 2 სართულიანი შენობა, რომელიც მდებარეობს მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით 01.12.08.010.005, დასავლეთის მხარეს ესაზღვრება მწვანე მასივი.

საცხოვრებელი შენობის გეგმარებითი პარამეტრები: შენობა გეგმაში ოთხკუთხა ფორმისაა, 20 სართულიანი 3 მიწისქვეშა სართულით.

შენობის მაქსიმალური ღერძული ზომებია: 49.95 x 60.325 მ. შენობა კონსტრუქციული თვალსაზრისით გადაწყვეტილია, როგორც ჩარჩოკავშირებიანი მონოლითური რკინაბეტონის სისტემა. შენობის სართულის მაქსიმალური სიმაღლე H=3.50 მ; შენობის მაქსიმალური მალი ღერძებში აღწევს L=9.45 მ.

ნაგებობის დაფუძნების პირობები: სამშენებლო მოედნის (ს/კ 01.12.08.010.116) გეოტექნიკური აგებულებიდან გამომდინარე შენობა ეფუძნება ფენა-4 -ს (ქვიშაქვებისა და არგილიტების მონაცვლეობა), რომლის წინაღობად მიღებულია Rc=161 კგძ/სმ². 1200მმ სისქის საძირკვლის ფილით, რომელიც აერთიანებს 6 მ-ის და Ø1200 მმ ხიმინჯებს.

შენობის ქვაბულის გამაგრებისთვის გათვალისწინებილია ქვაბულის ფერდების ქანობით მოჭრა.

გამომდინარე მშენებარე სენობის დაფუძნების პირობიდან (შენობა ხიმინჯების საშუალებით ეფუძნება კლდოვან ქანს რომელიც არ არის დატვირთვების გადამტანი) და ასევე ქვაბულის ფერდების ქანობით მოჭრა, საპროექტო შენობა საფრთხეს არ უქმნის მის ირგვლივ მდებარე შენობა-ნაგებობებს.

<u>დასკვნა:</u>

გამომდინარე შენობის დაფუძნების პირობებიდან და მოსაზღვრე შენობა-ნაგებობების მდებარეობიდან საპროექტო შენობასთან მიმართებაში, ასევე ქვაბულის დამცავი ღონისძიებებიდან გამომდინარე, ასაშენებელი შენობა საფრთხეს არ უქმნის მოსაზღვრე შენობა-ნაგებობებს (კერძოდ შემდეგ საკადასტო კოდებზე მდებარე შენობა ნაგებობები: 01.12.08.010.006; 01.12.08.010.008; 01.12.08.010.038; 01.12.08.010.039; 01.12.08.010.004; 01.12.08.010.016; 01.12.08.010.017; 01.12.08.010.018 და 01.12.08.010.005), როგორც ნორმირებული მშენებლობის პროცესში, ასევე შემდგომი ნორმალური ექსპლუატაციის პირობებშიც.

კონსტრუქტორი: ა. მჭედლიშვილი